# მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

## ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულება | შპს რობერ შუმანის ევროპული სასწავლებელი |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 404901406 |
| რეგიონი | თბილისი |
| რაიონი | ვაკე-საბურთალო |
| მისამართი | ქალაქი თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა # 42 |
| საფოსტო ინდექსი | 0179 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | Modzgvari.edu.ge, ani-zet.edu.ge, ecolexupery.ge, ecole-brosset.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | shumanschooltbilisi@yahoo.com |
| ტელეფონი/ფაქსი | +995 322 290371 |
| **დაწესებულების ხელმძღვანელი** | |
| სახელი და გვარი | ხათუნა კერესელიძე(შუმანი- თაყაიშვილი- მოძღვარი), მარინე ანდრონიკაშვილი(შუმანი-თაყაიშვილი-ანი-Zet), იზოლდა ჯინჯიხაძე(შუმანი-თაყაიშვილი-sentegziuperi), მარიამ გიორგაძე(შუმანი-თაყაიშვილი-მარი ბროსე) |
| ტელეფონი | 599 944844, 599 550068, 599 196053, 599 417060 |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნ. ... 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ... 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ... 

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...

# მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

## ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| ელ-ფოსტა | Modzgvari2005@mail.ru, ani-zei@yahoo.com, isajin11@gmail.com |
| **დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა** | |
| პედაგოგი | 185 |
| სერთიფიცირებული პედაგოგი | 2 წამყვანი მასწავლებელია, 46 უფროსი , 98 პრაქტიკოსი, სტატუსის გარეშე 39. |
| მოსწავლე/სსსმ მოსწავლე | 1130/0 (13 უცხო ქვეყნის მოქალაქე) |
| **ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი | 2016 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება #104 |
| მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | 1600 |

### დაწესებულება ახორციელებს

- [x] დაწყებითი ზოგად საგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას
- [x] საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას
- [x] საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას
- [ ] პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------

# მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

## ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

## ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N 511, 21/06/ 2019 წელი |
| მონიტორინგის ჯგუფის წევრები | ნელი ნასყიდაშვილი (ჯგუფის თავმჯდომარე)<br>ლიანა კობესაშვილი (წევრი)<br>ლელა ფიცხელაური(წევრი)<br>თეონა ყაჭეიშვილი(წევრი) |
| ვიზიტისგანხორციელების პერიოდი | 24, 25, 26 ივნისი, 2019 წელი |
| დასკვნის მომზადების თარიღი | 21/07/2019 წ. |

### ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

## I. საგანმანათლებლო პროგრამები

### 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის" წარმომადგენლებმა წარმოადგინეს 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის" დირექტორატის 2019 წლის 7 სექტემბრის N01/44 ბრძანებით. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნ. ნასყ...............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .........ლ.კობესაშვილი..................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ............................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...თ. ყაჭეიშვილი.....................

<table>
<tr><td></td><td>
სასკოლო სასწავლო გეგმა შინაარსითა და სტრუქტურით შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მოქმედ კანონმდებლობას. დოკუმენტი არის ერთიანი, დანომრილი ნაწილებითა და დანართებით.
სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, რომლის მიხედვით სკოლამ „თავისი სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამებით, მართვის ხასიათით, ენობრივი მრავალფეროვნებით, საუკეთესო ქართული და ევროპული ტრადიციების საფუძველზე ხელი უნდა შეუწყოს ქართული სკოლის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრებას. აქედან გამომდინარე, სასწავლებელი მიზნად ისახავს, მოამზადოს ქართველი ახალგაზრდები არამხოლოდ საქართველოს, არამედ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისათვის".
სასწავლებელი წარმოადგენს ხუთი საგანმანათლებლო პროგრამის გაერთიანებას:
<ol>
<li>საგანმანათლებლო პროგრამა „სენტ ეგზიუპერი";</li>
<li>საგანმანათლებლო პროგრამა "ა-z";</li>
<li>საგანმანათლებლო პროგრამა  "მიძღვარი";</li>
<li>საგანმანათლებლო პროგრამა „მარიბროსე";</li>
<li>ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საგანმანათლებლო პროგრამა.</li>
</ol>
სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამებს საერთო აქვთ: სასწავლო კალენდარი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, სადამრიგებლო პროგრამა, ინკლუზიური განათლების ზოგადი კონცეფცია. ხოლო განსხვავებული:  სასკოლო საათობრივი ბადე,დღის რეჟიმი,ეროვნულისასწავლოგეგმით გათვალისწინებული /გაუთვალისწინებელი დამატებითი
</td></tr>
</table>



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------

საგანმანათლებლო-სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა.

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება I-XII კლასებში, გარდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საგანმანათლებლო პროგრამისა, რომელიც ხორციელდება VIII-XII კლასებში.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი სავალდებულო საგნების სახით სკოლა მოსწავლეებს სხვადასხვა პროგრამებზე სთავაზობს:

| | „სენტ ეგზიუპერი" | „მარიბროსე" | "ა-ზ" | "მოძღვარი" |
|---|---|---|---|---|
| ესპანური ენა | X-XI | | | |
| ფრანგული ენა | I-IV | I-IV | | V-IX |
| გერმანული ენა | | | I-IV | V-VII |
| რუსული ენა | V-XI | V-XI | V-X | II-IV |
| იტალიური ენა | VIII-IX | | | |
| ფრანგული ლიტერატურა | V-XII | | | |
| ბიოლოგია ფრანგულად | | VI-VII<br>X-XI | | |
| ქიმია ფრანგულად | | VIII-IX | | |
| ისტორია/გეოგრაფია ფრანგულად | VII | | | |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თეატრალური თამაშები | I-IV | | | |
| ჭადრაკი | II-III | | I-VI | |
| ხელოვნების ისტორია | IV | | | I-VI |
| ისტ | | | | III-IV |
| ცეკვა | | | V | I-IV |

არჩევითი საგნებიდან საგანმანათლებლო პროგრამა **„მობლვარი"** X-XII კლასის მოსწავლეებს სთავაზობს ფრანგული ენის სწავლებას; **"ა-z"-ში** X-XI კლასში ისწავლება ხელოვნების ისტორია, ხოლო XII-ში რუსული; **„სენტ ეგზიუპერ"**-სა და **„მარი ბროსე"**-ში არჩევითი საგნებიდან შერჩეულია : X-XI კლასებში მსოფლიო კულტურა, XII-ში ქიმიური ტექნოლოგიები. **ექვთიმე თაყაიშვილის** სახელობის საგანმანათლებლო პროგრამაზე არჩევითი საგნებია: X-კლასში ხელოვნების ისტორია, XI-კლასში გეოგრაფიული კვლევა, ხოლო XII-ში ქიმიური ტექნოლოგიები. სპორტის სახეობებიდან სკოლას საბაზო-საშუალო საფეხურზე შერჩეული აქვს ფეხბურთი, ტანვარჯიში და კალათბურთი.

გასაუბრებებით დადგინდა, რომ მშობლებსა და მოსწავლეებს ახალ სასკოლო სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ სასწავლო წლის დასაწყისში შეხვედრებზე და მშობელთა კრებებზე.

<u>სასურველია სასწავლებელმა დეტალურად გაწეროს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მექანიზმი და შეიმუშაოს მისი ამოქმედების ეფექტიანი სტრატეგიები.</u>



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........

| | |
|---|---|
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• პედაგოგიური საბჭოს ოქმები;<br>• ინტერვიუირება;<br>• გამოცემული ბრძანებები. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ა" პუნქტი; |

**1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელში" ფუნქციონირებს ექვსი კათედრა, რომლებიც აერთიანებს ყველა მასწავლებელს ხუთივე საგანმანათლებლო პროგრამიდან.<br>1. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა- ქართული ენა და ლიტერატურის მასწავლებლები;<br>2. მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა-მათემატიკისა და ისტ-ის მასწავლებლები;<br>3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა- ბუნებისმეტყველების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლების, ბიოლოგიის, ქიმიისა ფიზიკის და ქიმიური ტექნოლოგიების მასწავლებლები; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნ. ნ...

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......

4. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა- მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების, სამოქალაქო განათლების და გეოგრაფიული კვლევის მასწავლებლები;
5. უცხოური ენების კათედრა- ინგლისური ენის, რუსული ენის, გერმანული ენის, ფრანგული ენის, ესპანური ენის და იტალიური ენის მასწავლებლები;
6. ესთეტიკისა და ფიზიკური აღზრდის - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის, ხელოვნების ისტორიის, მუსიკათმცოდნეობის, ხელოვნების მასწავლებლები.

კათედრის საქაღალდეებში წარმოდგენილი იყო სკოლის მიერ შემუშავებული კათედრების მოვალეობები, კათედრის სამოქმედო გეგმები, საგნების სასწავლო პროგრამები საფეხურების მიხედვით.

სკოლაში ყველა კლასს ჰყავს კლასის დამრიგებელი. ისინი აწარმოებენ დამრიგებლის პორტფოლიოს, რომელშიც წარმოდგენილია დამრიგებლის მუშაობის მიზნები, მოვალეობები, მუშაობის პრინციპები და საკლასო ღონისძიებები. ყველა დაგეგმილი აქტივობა გამომდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმიდან და შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.

სასწავლო წლის ბოლოს დამრიგებლების მიერ კეთდება სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება, რომელიც ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სხვადასხვა საფეხურის კლასებისათვის საათობრივი დატვირთვა და შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა საგნების მიხედვით:

შემაჯამებელი დავალებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი :

➢ <u>შემაჯამებელი დავალებები უმეტესად (მაგ: 9- დან 8 რუსულში; 5-დან 4 ფიზიკაში) ტესტური ტიპისაა;</u>



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

| | |
|---|---|
| | ➢ მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების სქემები, ანალიზები ზოგადია, ვერ იძლევა პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი გადაჭრის საშუალებას;<br>➢ ხშირ შემთხვევაში ანალიზი კეთდება სემესტრის ბოლოს, რაც ეჭვქვეშ აყენებს შემაჯამებელი დავალების მიზნობრიობას;<br>➢ შემაჯამებელი დავალებების ანალიზში დაწერილი რეკომენდაციები არის ზოგადი სახის, ან საერთოდ არ არის.<br><br>ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და საალმზრდელო მომსახურებებს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ფასიანი წრის სახით: ჭადრაკის წრე, მენტალური არითმეტიკა, ხატვა, ფერწერა, სამეჯლისო ცეკვა, ჰიპ-ჰოპი, ქართული ნაციონალური ცეკვები, ქანდაკება, მიუზიკლი, ფორტეპიანო, კლასიკური ბალეტი, ფეხბურთი, ვიოლინო. ხოლო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებით სავალდებულო საგნების სახით: ესპანური ენას, ფრანგული ენას, გერმანული ენას, რუსული ენას, იტალიური ენას, ფრანგული ლიტერატურას, ბიოლოგიას ფრანგულად, ქიმიას ფრანგულად, ისტორია/გეოგრაფიას ფრანგულად, თეატრალურ თამაშებს ჭადრაკს, ხელოვნების ისტორიას, ისტ -ს, ცეკვას. |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• ინტერვიურება;<br>• კათედრების ჟურნალები;<br>• მასწავლებლების საქაღალდეები;<br>• საკლასო ჟურნალები;<br>• დამრიგებლის საქაღალდეები;<br>• მოსწავლის პირადი საქმეები. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------------

| | |
|---|---|
| შეფასება | დაკმაყოფილებულია„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ზ" პუნქტი. |

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს - რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელს შემუშავებული აქვს „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სპეციალური პროგრამა", რომელიც 2018 წლის 10 ოქტომბრის #01/57 ბრძანებით დაწესებულების დირექტორატის მიერარის დამტკიცებული და წარმოადგენს 2018-2019 სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილს. აღნიშნული პროგრამა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. პროგრამა შედგება შემდეგი თავებისგან: ინკლუზიური განათლება, პროგრამის მიზანი, ინკლუზიური განათლების სასწავლო პროგრამის ძირითადი პრინციპები, ინკლუზიური სწავლების პროცესის ამოცანები, ინკლუზიური განათლება სკოლაში. ძირითადად პროგრამა შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესავალი ნაწილის ინკლუზიური განათლების თავის ამონარიდებებისგან. აღნიშნული პროგრამის მიზანია" ყველა ბავშვს მიეცეს თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა" .<br><br>ექსპერტთა ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას არა ჰყავდა სსსმ მოსწავლე. |
| დადასტურება/დანართი | 1. „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სპეციალური პროგრამა";<br>2. ინტერვიურება. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ნ. ნ[illegible]

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ც. [illegible]

მონიტორინგის ჯგუფის წევრი [illegible]

მონიტორინგის ჯგუფის წევრი [illegible]

| | |
|---|---|
| | |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი. |

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

| | |
|---|---|
| აღწერა | სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.<br>თუმცა,<br>➢ გამოკითხვა ჩატარდა VI კლასის მოსწავლეებში და ყველა გამოკითხული ამბობს, რომ მასწავლებლები დისციპლინას ითვალისწინებენ მათი ქულებით შეფასების დროს (იხ. დანართი №2 – „მოსწავლეთა კითხვარი" - თორმეტ ფურცლად) ;<br>➢ ყოველ სასწავლო წელს სასწავლებელში ტარდება სარეიტინგო/სასკოლო წერები, რომელთა სიხშირეზე, რაოდენობაზე, მიზნობრიობაზე, მათ გავლენაზე მოსწავლეთა შეფასებისას გამოკითხული მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი და დირექტორატი სხვადასხვა ინფორმაციას ფლობს.;<br>➢ შემაჯამებელი დავალებების ანალიზები სხვადასხვა საგნებში კეთდება სხვადასხვა მიდგომით. რიგ შემთხვევაში - სემესტრულად ( სემესტრში ჩატარებული ყველა შემაჯამებლის ერთდროული ანალიზი) , რიგ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------

| | |
|---|---|
| | შემთხვევაში - ყოველ შემაჯამებელზე, მაგალითად ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში. თუმცა წარმოდგენილი ანალიზები იყო ძირითადად ზოგადი, არ ჩანდა რომელ მოსწავლეზე რა პრობლემა იკვეთებოდა. |
| დადასტურება/დანართი | • 2018-2019 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• ინტერვიურება სკოლის მასწავლებლებთან;<br>• მშობელთა ინტერვიურება;<br>• მოსწავლეთა გამოკითხვები;<br>• მასწავლებლებთან ინტერვიურება;<br>• საკლასო ჟურნალების დათვალიერება;<br>• დანართი №2 – „მოსწავლეთა კითხვარი" - თორმეტ ფურცლად. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „დ"პუნქტი;<br>შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანების მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს; |

**1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით**

| | |
|---|---|
| აღწერა | სასწავლებლის შინაგანაწესის მუხლი 35, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების წესი-ს თანახმად : |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

| | |
|---|---|
| | 1. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია გაეცნოს სკოლის შინაგანაწესს, ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების, გაკვეთილების გაცდენა-დაგვიანების შესახებ და სხვა.<br>2. დაწესებულების მიერ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების და მისი სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის მიზნით გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი, დაწესებულების ვებ–გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო ზარი, პირადი შეხვედრები, მშობელთა კრებები, სოციალური ქსელი, დაწესებულების განცხადებების დაფა და სხვა. |
| დადასტურება/დანართი | • შინაგანაწესი;<br>• სასწავლებლის დირექტორატთან ინტერვიურება;<br>• ვებ-გვერდი;<br>• განცხადებების დაფა. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ე" პუნქტი. |

## 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........

| | |
|---|---|
| აღწერა | წარმოდგენილი იქნაშპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის" დირექტორატის 2017 წლის 07 სექტემბრის N01/49 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი : „სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმი"<br>გაუმჯობესების მექანიზმი გულისხმობდა გამოკითხვების ჩატარებას, მიღებული შედეგების ანალიზს და გასაუმჯობესებელი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელებას. |
| დადასტურება/დანართი | • „შუმანის სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმი";<br>• კლასის დამრიგებელთან ინტერვიურება;<br>• სასწავლებლის ფსიქოლოგთან ინტერვიურება. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ვ" პუნქტი. |

**II. მატერიალური რესურსი**

**2.1** დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი" მდებარეობს ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქ.N42- ში. სკოლა განთავსებულია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 4396 კვ.მ -მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა - ნაგებობაში საერთო ფართით 5056 კვ.მ. ამონაწერით საჯარო რეესტრიდან სკოლა ფლობს N1,2,3,4,5,6,7,8 შენობა-ნაგებობას. სკოლა დაფუძნებულია ოთხი შპს-ს მიერ. შპს „სენტ-ეგზიუპერის ფრანგულ-ქართული სკოლა (40% წილის მფლობელი), შპს საერო სკოლა-ლიცეუმი მოძღვარი (20% წილის მფლობელი), შპს მარი ბროსეს სკოლა (20% წილის მფლობელი), შპს ა-Z (ანი-ცეტი 20% წილის მფლობელი). |
| მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი | • მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.14.11.016.013 |
| დადასტურება/დანართი | • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882019504672;<br>• ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან;<br>• წესდება. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტი. |

**ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით**



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ............................

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში არის 101 საკლასო ოთახი. 2 საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, 1 კომპიუტერული კლასი, ხელოვნების ოთახი, სამედიცინო ოთახი, ბიბლიოთეკები, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზები, გარე სპორტული მოედანი, სასადილო ოთხები და ოთახები ადმინისტრაციისათვის. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით - ჯამში 1620. საკლასო ოთახებს აქვთ ბუნებრივი განათება. საკლასო ოთახებში არის მასწავლებლის მაგიდა, სკამი, დაფა, კარადები და სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსი (პლაკატები, რუკები და სხვა). |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• სასაქონლო ზედნადებები;<br>• ნასყიდობის ხელშეკრულება;<br>• ჩუქების ხელშეკრულება;<br>• ნასყიდობის ხელშეკრულება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ" ქვეპუნქტი. |

## გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს - რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის 2018-2019 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სპორტის სახეობებად განსაზღვრულია: კალათბურთი, ფეხბურთი, ტანვარჯიში. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | სპორტის გაკვეთილისათვის სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი 355 კვ. მეტრი, რომელშიც ექსპერტების ვიზიტის პერიოდში რეაბილიტაცია მიმდინარეობდა. გარე მოედანს მოხსნილი ჰქონდა ძველი ღობე და საფარი.<br><br>მთლიან სკოლას ასევე აქვს შენობის შიგნით - ერთი დიდი სპორტული დარბაზი 270 კვ. მეტრის ფართის მქონე. დარბაზშია: ორი კალათბურთის ფარი, ფეხბურთის კარებები - 2 ცალი -მინი ფეხბურთის სათამაშოდ, 13 შვედური კედელი.<br><br>სკოლას აქვს დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის ცალკე კალათბურთის მინი ფარი. სკოლას გააჩნია დამატებითი ფართი, ასევე დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის ფიზ. აღზრდის გაკვეთილების ჩასატარებლად სარდაფში. სარდაფში არსებული სივრცეები - 2 ოთახი (ჯამში - 82,7კვ. მეტრი ) სრულად რეაბილიტირებულია, თუმცა ორიდან ერთ ოთახში ბუნებრივი სინათლე არ შედის ( ოთახს ფანჯარა არ აქვს);<br><br>ფიზ. აღზრდის გაკვეთილებისათვის დაწესებულება პირველი სართულის ერთ ოთახსაც იყენებს, რომელშიც ქორეოგრაფიაც ტარდება.<br><br>სკოლას გააჩნია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი სპორტული ინვენტარი. აქვს ბადე, კეგლები, ჰულა-ჰუპები, მანიშნებლები, ბურთები, როგორც კალათბურთის, ასევე ფეხბურთის. ასევე სპორტული აქსესუარები: სასტვენი, საათი, მედლები, თასები, და სხვა.. სკოლას, ასევე, ბოლო პერიოდში განახლებული აქვს სპორტული თვალსაჩინოება. დაწყებით საფეხურზე ფიზ.აღზრდის ჩატარებისთვის სკოლას გააჩნია სათანადო სპორტული ინვენტარი, როგორიცაა: ჰულა-ჰუპები, კეგლები, რეზინის ბურთები, სპორტული ლეიბი, ბაგირი, |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | ჯებირები, სპორტული ძელი, ბარიერები, სახტუნაოები, მსაჯის დროშები, ფართო რგოლები, სავარჯიშო ჯოხები, ტანვარჯიშის დიდი ბურთი, ბადმინტონის ჯოხები და სხვა. |
| დადასტურება/დანართი | • სპორტული ინვენტარის შესყიდვის სასაქონლო ზედნადებები;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• ინტერვიურება. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტი. |

### დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებას აქვს ქიმია- ფიზიკა- ბიოლოგიის ორი ლაბორატორია დამხმარე სათავსო ოთახებით, რომლებიც შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572-ე ბრძანებას. ლაბორატორიას აქვს: ფანჯარა, ასევე ხელსაბანი. სასწავლო წლის დასასრულისთვის სკოლამ შეიძინა სპეციალური ე.წ. სეიფი ქიმიური რეაქტივების უსაფრთხოდ განთავსებისთვის. აღნიშნულ დაწესებულებას მიმდინარე სასწავლო წელს პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად შეძენილი აქვს ქიმიური რეაქტივები. სკოლის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................

| | |
|---|---|
| | დირექტორატმა წარმოადგინა ლაბორატორიებში გაკვეთილების ჩატარების გრაფიკი - სკოლის ხუთივე პროგრამისთვის. |
| დადასტურება/დანართი | • ლაბორატორიის ინვენტარის შესყიდვის სასაქონლო ზედნადებები;<br>• ინტერვიურება;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ" ქვეპუნქტი. |

**2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებას უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება ელექტროენერგია. სველი წერტილები მოწესრიგებულია სისტემატურად მიმდინარეობს მათი დეზინფიცირება. სულ სკოლაში არის 59 სველი წერტილი, მათ შორის 1 ადაპტირებული. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• საგადახდო ანგარიშფაქტურები;<br>• ხელშეკრულება შპს „სადეზინფექციო სამსახური 2017";<br>• საგადახდო დავალება. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ............

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ............

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ............

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ............

| | |
|---|---|
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი. |

**2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით**

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელს" აქვს 1 საერთო ბიბლიოთეკა ყველა პროგრამისთვის. აღნიშნული ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი (ფართით 50,4 კვ.მ) მდებარეობს შენობის მეორე სართულზე, ხოლო საცავი პირველ სართულზე. გარდა ამისა ცალკეულ პროგრამებს, გამომდინარე მათი სპეციფიკიდან და საჭიროებებიდან, დამატებით აქვთ საკუთარი მინი ბიბლიოთეკები (სენტ-ეგზიუპერის -ფრანგული სახელმძღვანელოებით და ლიტერატურით, ანი-ცეტს -გერმანული სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით, მოძღვარს ინგლისური სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით და მარი ბროსეს -ფრანგული სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით). სკოლის საერთო ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტში ჩართული და პრინტერთან დაკავშირებული 5 კომპიუტერი, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ლიტერატურა ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად, ჟურნალები, პერიოდიკა. სულ სკოლის წიგნადი ფონდი მოიცავს 11533 დოკუმენტს (წიგნები |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ............
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ............
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ............
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ............

| | |
|---|---|
| | -10264, ჟურნალი - 622, გაზეთი - 417, ვიდეოკასეტა - 77, DVD – 54, აფიშა – 17, კომპაქტური დისკი - 82). სკოლას აქვს ბიბლიოთეკის წიგნების ელექტრონული კატალოგი OPEN BIBLIO. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია ხელშეკრულება. ბიბლიოთეკა მუშაობს შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის" ბიბლიოთეკის გამოყენების წესის (დებულების) შესაბამისად. ბიბლიოთეკარს აქვს სამოქმედო გეგმა და განხორციელებული სამუშოების ანგარიშები. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკის მუშობის საათები. |
| დადასტურება/დანართი | • ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის" ბიბლიოთეკის გამოყენების წესი (დებულება). |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი. |

**2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის**

| | |
|---|---|
| აღწერა | ინკლუზიური განათლების ჯეროვნად დანერგვის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა სკოლების გამართული ინფრასტრუქტურა, რომელიც ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. შპს - რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი აქვს გარე პერიმეტრის პანდუსი და შიდა პერიმეტრზე პირველ სართულზეც შესაბამისი დახრილობის -% -ს, ხორკლიანი ზედაპირის, წრიული კვეთის, |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------

| | |
|---|---|
| | მრგვალი ფორმის 4 სმ-ის რადიუსის მოაჯირეების მქონე პანდუსები. მონიტორინგმა დაადასტურა, რომ არსებული ინფრასტრუქტურა მოწესრიგებელია და აკმაყოფილებს მისაწვდომობის სტანდარტებს.<br><br>შიდა ადაპტირებისთვის სასწავლებელს აქვს ე.წ. ხის „რელსები". თუმცა რელსები არ არის დაფიქსირებული კიბის გასწვრივ კედელზე, არსებული ხის რელსები სკოლის დაცვის ოთახში არის დაშლილ მდგომარეობაში.<br><br>სკოლას აქვს მეორე სართულზე ადაპტირებული სველი წერტილი, რომლის შესასვლელი კარების სიგანე 90 სმ-ზე ნაკლებია. ასევე ადაპტირებულ სველ წერტილამდე მისასვლელად ტუალეტების ცენტრალური შესასვლელი კართან ზედაპირი და ცალკეული ტუალეტის კაბინების იზოლირებული შესასვლელი ზედაპირი/იატაკიც განსხვავებულ სიმაღლეებზეა და საჭიროებს მინი პანდუსების დამონტაჟებას - პატარა ფიცრების სახით, რომელიც სკოლას გააჩნია. უნიტაზთან დამონტაჟებულია ვერტიკალურად განლაგებული მოაჯირეები, ასევე ტუალეტის კაბინას აქვს საკმარისი ფართი, რაც იძლევა გარანტიას ეტლის განთავსების შემთხვევაში საკმარისი ადგილის არსებობის.<br><br>ზოგადად არსებული ადაპტირებული სველი წერტილი გაუმჯობესებას საჭიროებს: **რეკომენდირებულია ერთი სველი წერტილის, მაინც, სრულყოფილი ადაპტირება. რაც გულისხმობს: სველი წერტლის იატაკის სხვადასხვა სიმაღლის ზედაპირის ზონების ადაპტირებას მუდმივი პანდუსების ან კარებების ზღურბლზე გადასასვლელი ბილიკების მოწყობას (ეს სირთულეს არ წარმოადგენს, ვინაიდან სიმაღლეებს შორის სხვაობა სტანდარტული ერთი საფეხურის სიმაღლეა), კარების ღიობის გაფართოებას - საქართველოს** |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------

| | |
|---|---|
| | მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის დადგენილების - № 41 „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" მიხედვით, სველი წერტილის კაბინის კარების ღიობების სტანდარტიც უნდა იყოს მინიმუმ 0,90 მეტრი.<br><br>ზემოთ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინება, არსებულ დაწესებულებაში ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლისთვის ფიზიკურ გარემოზე ხელმისაწვდომობის ხარისხს საგრძნობლად გაზრდიდა. |
| დადასტურება/დანართი | 1. ვიზუალური დათვალიერება.<br>2. ინტერვიურება; |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი. |

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას სამასწავლებლოებში, ლაბორატორიებში, კომპიუტერულ ოთახში და ადმინისტრაციის სამუშაო ოთახებში განთვსებული აქვს 65 კომპიუტერი და 13 ლეპტოპი. ჯამში 78. ასევე 4 პროექტორი. პრინტერები, კომბაინები , ქსეროქსები ჯამში 26. დაწესებულებას ხელშეკრულება ინტერნეტის მოწოდებასთან დაკავშირებით გაფორმებული აქვს კომპანია ს.ს. „სილქნეტთან". დომენსა და ჰოსტინგზე მომსახურება განახლებულია 2019 წლის აპრილში სკოლას აქვს საერთო ვებგვერდი და ვებგვერდები ცალკეული პროგრამების (გარდა თაყაიშვილისა) მიხედვით. სკოლის ვებ-გვერდია: http://rschuman-europeanschool.edu.ge, ხოლო პროგრამების ვებგვერდებია: modzgvari.edu.ge, ani-zet.edu.ge, ecolexupery.ge, ecole-brosset.ge. მარი-ბროსეს და ანი -ცეტის ვებგვერდები ვიზიტის დროს არ ფუნქციონირებდა, თუმცა ფეისბუქგვერდები ფუნქციონირებს.სკოლის ვებგვერდი საჭიროებს განახლებას, პროგრამების: მოძღვარი და სენტ-ეგზიუპერის ვებგვერდები განახლებულია. სკოლა აქტიურად იყენებს ასევე სოციალურ ქსელს-ფეისბუქგვერდს. |
| დადასტურება/დანართი | • ფეისბუქ-გვერდები:Modzgvari/რობერ შუმანის სახეობის ევროპული სასწავლებელი; სენტ-ეგზიუპერის სკოლა Ecole Saint-Exupéry; ანი-Zet-რობერ შუმანის ევროპული სასწავლებელი. მარი ბროსეს სახელობის ქართულ-ფრანგული სკოლა/Ecole Marie Brosset<br>• ვებგვერდები http://rschuman-europeanschool.edu.ge modzgvari.edu.ge , ani-zet.edu.ge ecolexupery.ge , ecole-brosset.ge;<br>• ზედნადებები;<br>• ჩუქების ხელშეკრულებები;<br>• ნასყიდობის ხელშეკრულება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან;<br>• ინვოისი და საგადახდო დავალება Cloud9. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................

| | |
|---|---|
| შეფასება | დაკმაყოფილებული„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი. |

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის" სამედიცინო დახმარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი". აღნიშნული წესის მე-3 მუხლით განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზები, ხოლო დირექტორატის ბრძანებით განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო ჯგუფის უფროსი, კონკრეტული პირი. შემუშავებულია ასევე ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.<br>სკოლას სათანადო ადგილებში განლაგებული აქვს 16 ცეცხლმაქრი. |
